ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 217

« 27 » ივნისი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი №30-ში მდებარე 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.041.027) სს „დი ენდ ბი საქართველო"-სთვის (ს/კ: 404917131) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, `ქ.თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი №30-ში მდებარე 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.041.027) სს „დი ენდ ბი საქართველოსთვის" (ს/კ: 404917131) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 24 მაისის №18.12.354 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი №30-ში მდებარე 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.041.027) სს „დი ენდ ბი საქართველო"-სთვის (ს/კ: 404917131) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 120 (ათას ას ოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი